კარტელური შეთანხმების გავლენა მომხმარებელთა უფლებებზე

სანი კოკაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: ზურაბ გველესიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, 2024 წელი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სანი კოკაია

აბსტრაქტი

ეკონომიკური აგენტებისთვის კარტელური შეთანხმებები წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო გზით სარგებლის მიღებისა და ბაზარზე ძალაუფლების მოპოვების საშუალებას. კარტელი არის ეკონომიკურ აგენტთა გაერთიანება, რომელთა მიზანს წარმოადგენს კონკურენციის შეზღუდვა, მათ არსებობას სხვადასხვა პირობები უწყობს ხელს,ხოლო მთავარი მსხვერპლი, რომელიც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებების არსებობით ზიანდება - მომხმარებელია.

ეკონომიკური აგენტები კონკურენციის საწინააღმდეგო ნაბიჯების გადასადგმელად უამრავ გზას მიმართავენ, მათ შორის ფასების ფიქსაციას, ბაზრის ტერიტორიული ან/და სხვა ნიშნით განაწილებას, წარმოების შეზღუდვასა და დისკრიმინაციას. ზემოხსენებული მიზნით ხშირად ხორციელდება ასევე სატენდერო მანიპულაციები. როგორც ამ, ასევე სხვა შემთხვევებში საბოლოო შედეგი მსგავსია, სწორედ ამიტომ ცდილობს ევროპულ სახელმწიფოთა დიდი ნაწილი მათ აღკვეთას.

საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობით ერთმანეთისგან იმიჯნება ერთის მხრივ შეთანხმება, მეორეს მხრივ კი შეთანხმებული ქმედება. ტერმინოლოგიურად, ხელშეკრულების ნაცვლად „შეთანხმების“ გამოყენება იძლევა იმის საშუალებას, რომ ეკონომიკურ აგენტებს გაუჭირდეთ კანონდარღვევის შემდგომ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მომხმარებლებზე კარტელური შეთანხმებების ზეგავლენისა და უარყოფითი ეფექტის წარმოჩენა. კარტელურ შეთანხმებებს ვაწყდებით ყველა სფეროში, მათ შორის ჯანდაცვასა და სპორტში. კარტელური შეთანხმებების ფართო მასშტაბზე ხაზგასასმელად ნაშრომში გამოყენებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა მიმოხილვითი, შედარებითი და აღწერითი მეთოდი.

მსოფლიოს მასშტაბით დამკვიდრებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამჟამად, კარტელური შეთანხმებების აღმოსაფხვრელად არსებული საშუალებები არ არის ბოლომდე ეფექტური. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ინდივიდუალურად იქნება განხილული

კარტელური შეთანხმების ძირითადი ფორმები და განისაზღვება ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას უფლებამოსილი პირების მიერ, რათა მსგავსი სახის შეთანხმებები დასაწყისშივე იქნეს აღმოჩენილი და აღმოფხვრილი.

საკვანძო სიტყვები : კარტელი; მომხმარებელი; შეთანხმება; კონკურენცია; კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედება.

Abstract:

Cartel agreements represent a clandestine method utilized by undertakings to illicitly amass benefits and consolidate market dominance. The existence of cartels is influenced by a multitude of factors, with consumers bearing the brunt of the adverse consequences stemming from anti-competitive practices.

These practices include price-fixing, market segmentation based on territorial or other criteria, product limitations, and discriminatory actions. Additionally, tender manipulations are frequently employed to further the objectives of such agreements. The resultant impact on competition and consumer welfare is strikingly similar across various sectors, prompting numerous European jurisdictions to intensify efforts to combat them.

In the legal frameworks of both Georgia and the European Union, distinctions between agreements and contracts are pivotal. The semantic choice of "agreement" over "contract" complicates the evasion of liability for economic agents implicated in criminal activities.

This thesis endeavors to elucidate the far-reaching impact and drawbacks of cartel agreements, spanning industries as diverse as healthcare and sports. Employing methodologies such as overview, comparative analysis, and descriptive inquiry, the paper underscores the expansive scope of cartel agreements.

Despite global endeavors to curtail cartel activities, prevailing measures have proven inadequate in effectively eradicating them. Consequently, this study delves into the various manifestations of cartel agreements, proposing proactive measures for their detection and elimination at their nascent stages. By delineating the responsibilities incumbent upon authorized entities, this research seeks to inform the development of more robust strategies for combating cartel agreements and upholding fair competition within markets.

Keywords: cartel, customer, agreement, competition; anti-competitive acion.